Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.14

თანამედროვე ურბანული ხელოვნების სოციოკულტურული ასპექტები

მარიამ ხაბეიშვილი[1]; ნინო ხაბეიშვილი[2]

[1]არქიტექტურის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელ-ფოსტა: m.khabeishvili@gtu.ge; არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელ-ფოსტა: n.khabeishvili@gtu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მრავალფეროვანი დინამიური ფენომენი - თანამედროვე ურბანული ხელოვნება, როგორც სხვადასხვა მხატვრული ფორმის და თემატური მიმართულებების საზოგადოებრივ სივრცეებში ინტეგრაციის შედეგი, ქალაქის გარემოს ახალი სახის ფორმირების - ტრანსფორმაციის კონტექსტში, განპირობებული ესთეტიკური პრაქტიკით და სოციალური ქმედებით. განსაზღვრულია ურბანული ხელოვნების სპეციფიკური შინაარსის მატარებელი პაბლიკ-არტი და სტრიტ-არტი. მიმოხილულია სხვადასხვა უნიკალური მხატვრული მეთოდის სპეციფიკა, რითაც ურბანული ხელოვნება ახორციელებს - ესთეტიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო პროექტებს. გაკეთებულია სათანადო დასკვნები და დასახულია განვითარების სავარაუდო პერსექტივები.

საკვანძო სიტყვები: ურბანული ხელოვნება, საზოგადოებრივი სივრცე, პაბლიკ-არტი, სტრიტ-არტი, ქალაქის დიზაინი.

შესავალი

ურბანული სივრცის ინტერაქტიულ გარემოში, დიზაინის და უახლესი ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა არქიტექტურის, სახვითი და პლასტიკური ხელოვნების მხატვრული სინთეზის ტრადიციული საზღვრები და შემოიტანა, ახალი არტ-პროექტები - სუპერგრაფიკა, გრაფფიტი, ანამორფული სამგანზომილებიანი გამოსახულებები; დინამიკური შუქ-ფერითი გრაფიკული კომპოზიციები - მედია-არტი, ჰოლოგრაფიული პროექციები, „Slide mapping“; ქალაქის ჟანრული, აბსტრაქტულ-დეკორატიული ხასიათის ქანდაკებები; კინეტიკური, ინტერაქტიული, კომპაქტური ლანდშაფტური არტ-ობიექტები; მოცულობით-სივრცითი სინათლის ინსტალიაციები; მხატვრული სინთეზის განსაკუთრებული ფორმა - საფირმო სტილების პროგრამები და ა.შ. [1]. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შემოქმედთა კრეატიული ჯგუფების მიერ

განხორციელებული ეს ეპატაჟური, უჩვეულო არტ-ობიექტები, ეფუძნებიან ტრადიციული თუ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილ ვიზუალურ ეფექტებს.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ურბანული ხელოვნება, რომელიც მოიაზრება მე-XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, სხვადასხვა მხატვრული ფორმის და ფართომასშტაბიანი თემატური მიმართულებების საზოგადოებრივ სივრცეებში ინტეგრაციით, ახდენს ქალაქის გარემოს ტრანსფორმაციას, ფორმირებას და ქმნის ყოფიერების ახალ სურათებს, რომლთა უნიკალურობას განსაზღვრავს ესთეტიკური პრაქტიკა და სოციალური ქმედება. ეს მრავალფეროვანი დინამიური ფენომენი ცვლის ჩამოყალიბებულ, ძველ შეხედულებებს ხელოვნების ფუნქციასა და ინსტიტუციურ სტატუსზე, „სოციალური მიზიდულობის“ ფონზე ასახავს უახლეს ტენდენციებს და გამოწვევებს [2]. ფუნდამენტური მნიშვნელობის კონტექსტში ის ფიზიკური, არქიტექტურული და ქალაქის გარემო, რომელშიც მდებარეობს მხატვრული ობიექტი განსაზღვრავს ურბანული ხელოვნების სპეციფიკურ შინაარსს და მასთან დაკავშირებულ ტერმინებს - საჯარო (პაბლიკ-არტი. ინგლ."Public-art") თუ ქუჩის (სტრიტ-არტი. ინგლ. „Street art“) ხელოვნება [3].

საჯარო ხელოვნება მოიაზრება ხელისუფლების მიერ სანქცირებული ე.წ. „შეკვეთილი“, სახელმწიფოს იდეოლოგიური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ზოგ შემთხვევაში ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს საზოგადოებაში, თუმცა მის ფარგლებში აღინიშნება მხატვრული პრაქტიკების ვარიატულობაც. ურბანული დაგეგმარების კუთხით ამ კომპოზიციების სტრუქტურა და დიზაინი მოწოდებულია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და მკვეთრად შეცვალოს მათი ესთეტიკური შეხედულებები (სურ.1). ეს არტ-ობიექტები ისტორიული, ტრადიციული მონუმენტებისა და ძეგლების მიღმა აფართოვებენ პაბლიკ-არტის იდეას და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების საჯარო სივრცეებს წარმოაჩენენ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებად ღია ცის ქვეშ.



სურ.1. აშშ. ჩიკაგო. - „ჩიკაგოს პიკასო“ 1967 წ. პაბლო პიკასო. - „ოთხი სეზონი“ 1974წ.

მარკ შაგალი. - „ფლამინგო“ 1974 წ. ალექსანდრე კოლდერი

პაბლიკ-არტი, როგორც ლოკალური კულტურული მემკვიდრეობის ვიზუალიზაციის ერთ-ერთი ფორმა, წარმოადგენს კოლექტიურად მნიშვნელოვანი არსის რეპრეზენტაციას და სიღრმისეული მემკვიდრეობის რეალურ აქტუალიზაციას ქალაქის საკომუნიკაციო პროცესებსა და სივრცეებში. ამრიგად, კულტურული მეხსიერება ხდება ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, რომელთანაც უშუალოდ ურთიერთქმედებენ, როგორც ქალაქელები, ასევე ტურისტები [4]. ის, როგორც უფრო ინკლუზიური და სამართლიანი საზოგადოების შექმნის ინსტრუმენტი, მოიაზრება მომავალში ხელოვნების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებად.

საჯარო ხელოვნებისგან განსხვავებით ქუჩის ხელოვნება წარმოჩინდება ხელისუფლების მიერ არასანქცირებული, ანონიმური, სპონტანური, ეფემერული, პერფორმატიული ობიექტებით, საზოგადოებასთან განზრახ კომუნიკაციის მიზნით სხვადასხვა ტექნიკით, სხვადასხვა თემაზე შესრულებული ნაწარმოებებით. ვიზუალური ხელოვნების ფართო კონტექსტში ჩაწერილი სტრიტ-არტი თანაარსებობს ქალაქის დიზაინთან და რეგიონის ეროვნულ სპეციფიკასთან კავშირში (სურ. 2). სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ სივრცეებში ეხმიანება პოლიტიკურ, გენდერულ, კულტურულ, სოციალურ საკითხებს, ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და მოქალაქეებთან მუდმივ კონტაქტში ქმნის აქტუალურ, ახალ მიზიდულობის ცენტრებს.



სურ.2. საქართველო. თბილისი. - „ფაბრიკა“ მულტიფუნქციური ურბანული სივრცე

ურბანული გარემოს ფორმირება ხელოვნების ობიექტების ინტეგრაციით თანამედროვე საზოგადოებრივ სივრცეებში წარმოადგენს, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული ინტერესის სფეროს. ეს „არტ-მეთოდები“ ითავსებენ პრაქტიკების ფართო სპექტრს, ასე მაგალითად გარემოში არსებობის ვადა: პირობითად მუდმივი, დროებითი, ეფემერული ობიექტები; არქიტექტურულ გარემოსთან ურთიერთქმედება - შენობის ქსოვილში ჩაშენებული არტ-ობიექტი (სურ. 3); პრეზენტაციის ფორმა და ტიპი: სიბრტყული - ზედაპირების ფრონტალური გაფორმება, მოცულობითი არტ-ობიექტები, სივრცითი ინსტალაციები და ა.შ.; თანამედროვე ტექნოლოგიები: კლასიკური, მედია ხელოვნება, შუქ-ფერითი ინსტალაციები; ფუნქციურობა: ქალაქის დიზაინის ელემენტები, რეკლამა და სხვა [5].

სურ.3. საფრანგეთი. რომი. „მინიმალური მონუმენტი“ 2020 წ. ნელე აზევედო; აშშ. ნიუ-იორკი. „სარკული სკულპტურა“ 2023 წ. ანიშ კაპური

დასკვნა

ურბანული ხელოვნება სხვადასხვა უნიკალური მხატვრული მეთოდით ახორციელებს ესთეტიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო პროექტებს. ადგილის მიმზიდველობის მიზნით ავსებს ქალაქის დიზაინს მხატვრული ღირებულებით, აფართოებს ურბანული სივრცის შემოქმედებითი პოტენციალის კულტურულ საზღვრებს; სოციალურ საკითხებზე აქცენტებით მართავს დისკუსიას და დიალოგს; ასახავს ადგილობრივი ხალხების იდენტურობას და ისტორიას, ფლობს სოციალური თერაპიის და საგანმანათლებლო უნარებს. მუდმივი ცვლილებების პირობებში, სავარაუდოდ ურბანული ხელოვნება გააგრძელებს განვითარებას, შექმნის უნიკალურ, კულტურულ სივრცეებს თვითგამოხატვის, სოციალური აქტივობის კონტექსტში, რაც ხელოვნებას სულ უფრო ხელმისაწვდომს გახდის საზოგადოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Evstratova T.A., Kuleeva L.M., Kupriyanov V.N., Malakhov S.A., Mikhailov S.M. Modern trends in the field of artistic synthesis in architecture and design of the city // News KSUAE 2023 № 2 (64), p.101-112, DOI: 10.52409/20731523_2023_2_101, EDN: XQBZOK
2. Koshkin D.F., Krivokobylskaya K.I. Art methods in a modern urban environment, Architecture. Restoration. Design. Urban science, 2024, 1 (3), p. 267-281
3. Vilchinskaya-Butenko, M.E. (2022) Modes of visualization of urban art: street art vs public art. Tomsk State University Journal of Cultural Studies and Art History. 47. pp. 18–34. (In Russian). doi: 10.17223/22220836/47/2
4. Speshilova, E. I. (2024). Public art in the historical city: Visualizing the local cultural code. Urbis et Orbis. Microhistory and Semiotics of the City, 4(1), 23–38. https://doi.org/10.34680/urbis-2024-4(1)-23-38

5. Koshkin D.F., Krivokobylskaya K.I. Art methods in a modern urban environment, Architecture. Restoration. Design. Urban science, 2024, 1 (3), p. 267-281

Sociocultural Aspects of Contemporary Urban Art

Mariam Khabeishvili[1]; Nino Khabeishvili[2]

[1]Doctor of Architecture, Associate Professor, Georgian Technical University, E-mail: m.khabeishvili@gtu.ge; [2]Doctor of Architecture, Professor, Georgian Technical University, E-mail: n.khabeishvili@gtu.ge

Abstract

The article discusses a diverse dynamic phenomenon - modern urban art, as the result of the integration of various artistic forms and thematic directions in public spaces, in the context of a new type of formation - transformation of the urban environment, conditioned by aesthetic practice and social action. Public art and street art, which carry the specific content of urban art, are defined. The specifics of various unique artistic methods are reviewed, by which urban art implements aesthetic, social, cultural, educational projects. Appropriate conclusions are made and probable development perspectives are set.

Keywords: urban art, public space, public art, street art, city design.